



ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№ _____

21 06 2018 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანება № 29

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დანართი N1-ის შესაბამისად.
2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის დაევალოს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსებისა მართვის სამსახურს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ქორეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი) + ზუგუყე იაკობი



ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (შემდეგში - უნივერსიტეტი) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმებს.

მუხლი 2. პროგრამის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა

1. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს პრინციპით: „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“.

2. საგანმანათლებლო პროგრამები უნივერსიტეტში იქმნება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დადგენილი პროცედურების დაცვით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. მეთოდოლოგია ითვალისწინებს სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების და საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტების მოთხოვნებს, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის რეკომენდაციებს.

3. უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლა პასუხისმგებელია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე, პროგრამაში გათვალისწინებული პირობების დაცვით.

4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახური პროგრამის განხორციელების დაწყების შემდეგ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტ შეფასებას, სათანადო მეთოდოლოგიის დაცვით.

5. პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების გათვალისწინებით ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარება, მასში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შიდა შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტში უწყვეტად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება, რომლის შედეგებიც ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ იკრიბება, ანალიზდება და აისახება ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ შემუშავებულ შესაბამის ფორმაში.

2. შიდა შეფასების პროცესი ეფუძნება შეფასების კრიტერიუმების ვალიდურობის, შემფასებელთა დამოუკიდებლობის, კომპეტენტურობისა და ობიექტურობის, შეფასების პროცესის გამჭვირვალობის და შედეგების საჯაროობის პრინციპებს. პროცესს აქვს უწყვეტი ხასიათი და თითოეული მონაცემის მოპოვების მიზნით შესაბამისი პროცედურების განხორციელება უზრუნველყოფილია ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის სამუშაო გეგმით.

3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში ფასდება:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;

ბ) სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;

გ) სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა;

დ) სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;

ე) სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

4. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში გამოიყენება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით“ გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმები და უნივერსიტეტში დადგენილი სამიზნე ნიშნულები.

5. თითოეული შეფასების კრიტერიუმის დაკმაყოფილების საკითხის ანალიზისას მხედველობაში მიიღება:

ა) პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები - შედეგების გაანალიზება ხორციელდება ყოველწლიურად;

ბ) სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები - სასწავლო კურსების შეფასების მიზნით გამოკითხვები ხორციელდება ყოველი სასწავლო სემესტრის დასასრულს, ხოლო შესაბამისი ანალიზი მზადდება სასწავლო წლის დასასრულს. სტუდენტთა კმაყოფილების დონის დადგენის მიზნით გამოკითხვა ხორციელდება ორ წელიწადში ერთხელ;

გ) კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები - საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ ხორციელდება კურსდამთავრებულთა გამოკითხვა მათი კმაყოფილების ხარისხის დადგენის, რეკომენდაციების მიღების და კარიერული განვითარების შესწავლის მიზნით, ხოლო შემდეგ ეტაპზე ორ წელიწადში ერთხელ - მათი კარიერული განვითარების შესწავლის და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის რეკომენდაციების მიღების მიზნით;

დ) დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები - გამოკითხვა ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადებში, არანაკლებ 5 წელიწადში ერთხელ თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის;

ე) ადგილობრივი ან/და საერთაშორისო სარეკომენდაციო დოკუმენტები, კვლევები და სტანდარტის კონკრეტულ კრიტერიუმთან დაკავშირებული თემატური დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) უნივერსიტეტის პერსონალის/სხვა სამიზნე ჯგუფების გამოკითხვის შედეგები, აუცილებლობასაც განსაზღვრავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახური.

6. თვითშეფასების შედეგების გათვალისწინებით უნივერსიტეტში ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების ანალიზი და გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი გეგმების დასახვა.

მუხლი 4. პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში

1. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით თვითშეფასების განხორციელების პროცესში გამოიყენება წინასწარ შეგროვებული და გაანალიზებული ინფორმაცია, ხოლო აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული შემოწმების/ხელახალი აკრედიტაციის მიზნით ჯამდება და ანალიზდება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგები, რაც აისახება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ შესაბამის ფორმაში.

2. აკრედიტებული პროგრამების აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით უნივერსიტეტი სამ წელიწადში ერთხელ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოფს ცენტრისათვის თვითშეფასების ანგარიშის წარდგენას.

3. თვითშეფასების ანგარიშის მომზადების მიზნით რექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ჯგუფის წევრების კომპეტენციების შესაბამისად პასუხისმგებლობის სფეროების გადანაწილებას და შესაბამისი მიმართულებით სამუშაოს შესრულებას. თვითშეფასების პროცესი, გარდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრებისა, ითვალისწინებს სხვა მიზნობრივ შეხვედრებს.

4. თვითშეფასების შედეგები საჯაროა და ეცნობება საუნივერსიტეტო საზოგადოებას, რის შემდეგაც წარედგინება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის მოპოვების მიზნით.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომლის დროსაც ხორციელდება თვითშეფასების და საავტორიზაციო/საკრედიტაციო ვიზიტის შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზება და ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოების მიერ პოზიციების გამოხატვა და შენიშვნების და/ან რეკომენდაციების ჩამოყალიბება, რაც მათი შინაარსის გათვალისწინებით, გამოიყენება პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში.